განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, მედიცინის სკოლა

28-29 ივნისი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი - 2019 წლის 31 ივლისი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი:	200002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინის დოქტორი
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მედიცინის დოქტორი 090101
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ივანა ობორნა, მედიცინის დოქტორი, დოქტორი; დამოუკიდებელი კონსულტანტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი გაბისონია, საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირაკლი გაგუა, საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ თევზაძე, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  ყველა სახის ინფორმაცია ანიშნული მედიცინის სადოქტორო პროგრამის შესახებ მოპოვებულ იქნა დოკუმენტებიდან, რომლებიც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა წარადგინა, ასევე ადგილზე ვიზიტიდან და განხორციელებული ინტერვიუებიდან. თვითშეფასების ანგარიში დაწერილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების მიხედვით. არსებობს რიგი დოკუმენტებისა (იხილეთ ქვემოთ, მტკიცებულებები/ინდიკატორები, მაგ: საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი, მედიცინის დოქტორის სასწავლო გეგმა, მედიცინის სადოქტორო პროგრამა, სავალდებულო და არჩევითი კურსების სია), რომელიც წარმოადგეს სასწავლო საგნებს, სავალდებულო და არჩევით კურსებს, მათ შორის ECTS კრედიტების რაოდენობას, მათ გადანაწილებას (ლექციებს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, ლაბორატორიულ მუშაობას...) და შეფასების მეთოდებს. სილაბუსები, ასევე იძლევა ინფორმაციას აკადემიური პერსონალის შესახებ, მათ შორის მათ საკონტაქტო მონაცემებს. ასევე მოწოდებული იყო CV-ები, თუმცა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან მკაფიო აფილირების გარეშე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 28 ივნისის, შუადღეს, როდესაც ორგანიზებული იყო ოთხი მოკლე ვიზიტი ჯანდაცვის დაწესებულებებში. მომდევნო დღეს (29 ივნისს) გაიმართა რამდენიმე შეხვედრა სხვადასხვა დაინტერესებული პირის წარმომადგენლებთან (იხილეთ თანდართული გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დღის წესრიგი). ექსპერტთა ჯგუფი ასევე ეწვია კლინიკური უნარების დაწესებულებებს, ბიბლიოთეკას და რამდენიმე სალექციო ოთახსა და აუდიტორიას. დღის წესრიგი დასრულდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის მთავარი მიგნებების გაცნობით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა**

  მედიცინის სადოქტორო პროგრამა შეფასდა NCEQE-ს უმაღლესი განათლების სტანდარტებისა და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით. მედიცინის სადოქტორო პროგრამის ერთი მიზნია თავსებადობა WFME BME სტანდარტებთან, რომლებიც ასევეე მხედველობაში იქნა მიღებული.

  გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი წარმატებით ფლობს სტომატოლოგიის პროგრამას, რაც დადასტურდა კურსდამთავრებულებთან, ამჟამინდელ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა რამდენიმე ხარვეზი (იხილეთ ქვემოთ), თუმცა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს აქვს კარგი შესაძლებლობა წარმატებით განახორციელოს მედიცინის ახალი სადოქტორო პროგრამა.

- **რეკომენდაციები**

  <u>1:</u> პროგრამის მიზნის თანახმად (როგორც ეს განცხადებულია თვითშეფასების ანგარიშში), განსაკუთრებული ყურადღება პროგრამის დასაწყისიდანვე დაუთმეთ ქართული ენის უნარების გავითარებას სტუდენტებში, რათა მიეცეთ შესაძლებლობა უკეთ დაამყარონ კომუნიკაცია პაციენტებთან, ისევე როგორც - პერსონალთან კლინიკის პირობებში (მუხლი 4, პუნქტი 2.ა.ბ).

  მედიცინის სადოქტორო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებების დროში განაწილება და კონტენტი უნდა დასახელდეს/გაცხადდეს (ყოველი სემესტრის შემდეგ, ყოველი საგნის დასრულების შემდეგ...). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეფასებაში

ასევე უნდა მოიცვას აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებები, რათა უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა. საჭიროა დაკონკრეტდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის მთლიანი პროცესი, მათ შორის დროში განაწილება და პასუხისმგებლობები.

2: შემოთავაზებულ მედიცინის სადოქტორო პროგრამაში განათლების ხარისხის შენარჩუნების მიზნით, ასევე შემოთავაზებულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებაში, რეკომენდებულია, რომ: სწავლებისთვის თითოეული ტიპისთვის (მაგალითად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), „ავადმყოფის საწოლთან“ სწავლება) უნდა განისაზღვროს სტუდენტთა ჯგუფის მაქსიმალური ზომა, სიფრთხილით შეირჩეს მიღებული სტუდენტების რაოდენობა, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და აკადემიური პერსონალის ფაქტორის გათვალისწინებით, დადასტურდეს ინგლისური ენის ფლობა სტუდენტებში, დაკონკრეტდეს პირობები გადმოსული სტუდენტებისთვის, გამოიყენეთ მაღალი შერჩევითობის პრინციპი პროგრამაზე გადმოსასვლელი სტუდენტების შერჩევისას, როდესაც ეს გახდება პროგრამის ნაწილი.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ან სამედიცინო სკოლამ უნდა უზრუნველყოს OSCE ტრენინგი შესაბამისი აფილირებული/მოწვეული პერსონალისთვის.

3: განსაკუთრებით არის რეკომენდებული სტუდენტთა კავშირის განვითარების აქტიური ხელშეწყობა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაა, ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია მხედველობაში მივიღოთ სტუდენტური ორგანიზაციების დანერგვა სხვადასხვა მიმართულებით (მედიცინა, ბიზნესი....).

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი უნდა შეიცავდეს ყველა უნივერსიტეტში არსებული ცენტრის შესახებ განახლებულ ინფორმაციას, მათ შორის საკონტაქტო საათებსა და ხელმძღვანელი პირების შესახებ ინფორმაციას.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ერთი და იმავე ინფორმაციის არსებობა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

4: მედიცინის ნებისმიერი სადოქტორო პროგრამის წარმატებით განსახორციელებისთვის გადამწყვეტი პირობა კვალიფიციური და კომპეტენტური აკადემიური პერსონალია. პროგრამას უნდა ყავდეს საკმარისი პერსონალი არამხოლოდ სწავლების პროცესის უზრუნველსაყოფად, არამედ სხვა შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლადაც, როგორიცაა კვლევა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს აკადემიური პერსონალისადმი არსებულ მიდგომას და გაზარდოს თანამშრომლების რაოდენობა მუდმივი, იდეალურ შემთხვევაში სრულ განაკვეთიანი კონტრაქტების დადებით, რათა უკეთ დააბალანსოს აფილირებული/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა.

თითოეული სასწავლო მეთოდისთვის უნდა დასახელდეს სტუდენტი/მასწავლებლის თანაფარდობა (მაგ. PBL, „ავადმყოფის საწოლთან“ სწავლება).

შემდეგ, საჭიროა ფრთხილი გაანგარიშება სათანადო სწავლებისა და კლინიკური მომზადების უზრუნველსაყოფად. **ოპტიმალური გაანგარიშება იძლევა სრული დროის ექვივალენტს (FTE).** FTE არის საათები, რომლებიც იმუშავა ერთმა თანამშრომელმა სრულ განაკვეთზე. კონცეფცია გამოიყენება რამდენიმე ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლის საათების კონვერტაციისთვის სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების საათებად. ყოველწლიურად,

FTE მიჩნეულია, რომ უნდა იყოს 2080 საათი, რომელიც ასე გაანგარიშდება: დღეში 8 საათი გამრავლებული 5 სამუშაო დღეზე კვირაში, გამრავლებული 52 კვირაზე წელიწადში= 2,080 საათს წელიწადში. როდესაც მედიცინის სკოლა ასაქმებს მნიშნელოვანი რაოდენობის ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალს, შესაძლოა სასარგებლო იყოს მათი ნამუშევარი საათების კონვერტაცია სრული განაკვეთის ექვივალენტად, რათა დაინახოთ თუ რამდენ სრულ განაკვეთზე დასაქმებულ თანამშრომელს უტოლდება მათი მუშაობა. ძლიერ რეკომენდებულია, FTE მედიცინის სადოქტორო პროგრამის დასაწყისშივე გამოყენება და ხელახალი დაანგარიშების განხორციელება თითოეული სემესტრისთვის. მისი გამოყენება უნდა მოხდეს მოწვეული პერსონალისთვის, სადაც მხოლოდ საკონტაქტო საათები ანგარიშდება, მაგრამ ასევე აფილირებული პერსონალისთვისაც, სადაც მხოლოდ სწავლისთვის დათმობილი სათანადო საათების დაანგარიშება მოხდება.

როგორც აღინიშნა 2.1-ში ამჟამინდელ პერსონალთან დაკავშირებით, დაგეგმილი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა კონტინგენტის მაქსიმალური ზომა არის 50 მინიმუმ სამი წლის განმავლობაში.

დააწესეთ სტუდენტთა ჯგუფების მაქსიმალური ზომა თითოეული სწავლების მეთოდისთვის (მაგ. PBL, პაციენტის საწოლთან სწავლება), სიფრთხილით განსაზღვრეთ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა, შესაძლებლობებისა და აკადემიური პერსონალის გათვალისწინებით.

უნდა მომზადდეს აკადემიური პერსონალის გადამზადების განრიგი. ასევე, დამატებითი ტრენინგი უნდა ჩატარდეს მათთვის, ვინც უკვე გაიარა გადამზადება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს OSCE-ს.

სიმულატორების/მანეკენების რაოდენობა თანდათანობით უნდა გაიზარდოს.

გააფართოებული ონლაინ მონაცემთა ბაზების პორტფოლიოს არსებობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი კურსის მსვლელობისას.

გააფართოვეთ და აწარმოეთ თანამშრომლობა საავადმყოფოებთან/ჯანდაცვის დაწესებულებთან, სადაც ტარდება კლინიკური ტრენინგები.

უნდა მომზადდეს პაციენტის თანხმობა საერთაშორისო სტუდენტებისთვის და პაციენტის მონაწილეობა, როგორც სტანდარტიზებული პაციენტის OSCE-ს გამოცდებში უნდა შედგეს.

ნებისმიერი ბიუჯეტი, რომელიც მხოლოდ ან უმეტესად ეყრდნობა სტუდენტთა სწავლის საფასურს, არის დაუცველი ცვლილებებისა/უკანსვლის პროცესში. უნდა განისაზღვროს სხვა ფინანსური წყაროებიც.

უნდა განისაზღვროს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამის მკაფიო სარეზერვო და დაფინანსების პოლიტიკა მინიმუმ ექვსი წლისთვის (მედიცინის სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა).

5: ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებ-გვერდზე ინგლისურ ენაზეც.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.2 ყველა არსებული დაინტერესებული პირის, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის საუკეთესო მუშაობის მისაღწევად, მთლიანი სემესტრული პროგრამის დეტალური ცხრილი, მათ შორის კონკრეტული აფილირებული/მოწვეული პერსონალის სახელები, დროები, ადგილი და სტუდენტთა შესაბამისი ჯგუფების რაოდენობა, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მაქსიმუმ სემესტრის დასაწყისში, რათა შესაძლებელი იყოს ხარისხის უზრუნველყოფის რამდენიმე პარამეტრის უწყვეტი შეფასება (მაგალითად, სტუდენტი/მასწავლებლის თანაფარდობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მათი განთავსება) და ა.შ. ამგვარად, მედიცინის ახალ სამედიცინო პროგრამას, ექნება შესანიშნავი შესაძლებლობა, რომ მოხდეს მისი შეფასება უშუალოდ დანერგვის დასაწყისიდანვე. ეს სრულად შესაბამისობაშია ევროკავშირის მედიცინის სკოლებში არსებულ ამჟამინდელ სტრატეგიებთან.

ადამიანის მიკროფლორის როლი და გენეტიკური კონსულტაციები შესაძლოა განხორციელდეს შესაბამის საგნებზე, კონკრეტულ მოდულებში.

ყურადრება უნდა დაეთმოს სამედიცინო ტერმინოლოგიას, რომელიც გამოყენებულია ამჟამინდელ წერილობით მასალებში, მაგალითად „ოპერატიული ოპერაცია“ (Operative Surgery) (ეს გულისხმობს, რომ არსებობს არაოპერატიული ქირურგიული ოპერაციაც), Stoma Care (ღრუს მოვლა), „მედიცინის მენეჯმენტი - რექტალური, ვაგინალური, ოფთალმოლოგიური, ნაზალური, სმენის ადმინისტრირება“, „ლექტორი აგროვებს დაშვებულ შეცდომებს და აკეთებს კომენტარებს სტუდენტების წინაშე“ და ა.შ.

2.3 გააფართოვეთ და შეინარჩუნეთ ონლაინ მონაცემთა ბაზების პორტფოლიო კურსის მსვლელობისას.

ასევე, ეს მონაცემთა ბაზები ძლიერ საფუძველს ქმნიან კვლევითი შესაძლებლობებისთვის.

2.6 გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ან სამედიცინო სკოლამ უნდა უზრუნველყოს OSCE ტრენინგი შესაბამისი აფილირებული/მოწვეული პერსონალისთვის.

3.1 მედიცინის სადოქტორო პროგრამის დასაწყისისთანავე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ყურადღება უნდა დაუთმოს კლასგარეშე აქტივობებს, რათა ხელი შეუწყოს კონტაქტს ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის.

უნდა დაინერგოს პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის, მედიცინის სადოქტორო პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში.

5.1 პასუხისმგებლობების/ანგარიშვალდებულების და დროის გადანაწილების მკაფიო სქემა უნდა არსებობდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლებისა და სასწავლო გარემოს ხარისხის უზრუნველყოფის დამოუკიდებლობა. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის როლი.

მედიცინის სადოქტორო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების დროში განაწილება და შინაარსი უნდა დასახელდეს (ყოველი სემესტრის შემდეგ, ყოველი საგნის დასრულების შემდეგ...). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ასევე უნდა მოიცვას აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებები შეფასებაში, რათა უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა. კომუნიკაციის მთლიანი პროცესი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის უნდა დაკონკრეტდეს, მათ შორის დროში განაწილება და კომპეტენციები.

5.2 უნდა მომზადდეს განრიგი გარე შეფასებისთვის, სადაც მოცემული იქნება შესაბამისი შესაფასებელი სფეროებიც.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში) - არ ვრცელდება**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - არ ვრცელდება**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის მიზანი კარგად არის ჩამოყალიბებული და აქვს მკაფიო კავშირი უნივერსიტეტის მისიასთან, პროგრამის მიზნებთან და საჭიროებებთან/მოთხოვნებთან, როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ ბაზარზე/საზოგადოებაზე. სწავლის შედეგები ხაზს უსვამს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას პაციენტის კონსულტაციაში, მათ შორის პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასებაში, რაც მჭიდროდ უკავშირდება არამხოლოდ სამედიცინო ეთიკისა და ფსიქოლოგიის ტრენინგებს, არამედ უფრო მეტად - ენის ფლობას. სხვა უნარების სიაც სრულად ფარავს მოთხოვნებს და ეყრდნობა ეთიკურ ღირებულებებსა და ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემას, შესაბამისად თანხვედრაშია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ღირებულებებთან. პროგრამა თანხვედრაშია ECTS-თან. სწავლის შედეგები ეყრდნობა ეროვნული მედიცინის სადოქტორო პროგრამის სამიზნე ნიშნულებს, რომელიც საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მიიღო 2017 წელს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები ○ მედიცინის სადოქტორო პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების რუკა ○ უმაღლესი განათლების- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ვებ-საიტი ○ ინტერვიუები
რეკომენდაციები: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ და ლოგიკურად არის გადანაწილებული, ხაზს უსვამს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას პაციენტის კონსულტაციაში, მათ შორის პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასებაში, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული არამხოლოდ სამედიცინო ეთიკის და ფსიქოლოგიის ტრენინგთან, არამედ უფრო მეტად ენის სრულყოფასთან. სხვა უნარების/კომპეტენციების სიაც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს და ეყრდნობა ეთიკურ ღირებულებებსა და პატივს სცემს ინდივიდუალურ ავტონომიას. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გააანალიზებს სტუდენტთა გამოკითხვების შედეგებს. სწავლის შედეგები მიღწევადია და შეფასებისთვის შერჩეული მეთოდები კარგად გაზომვადი, თუმცა საჭიროა რომ იგი შეფასდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც იქნება გამოყენებაში. სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგების ინდიკატორი დისციპლინების მიხედვით შესაძლოა იყოს სასარგებლო ხელსაწყო სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები
- მედიცინის სადოქტორო პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების რუკა
- უმაღლესი განათლების- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები
- სწავლის შედეგების ინდიკატორი დისციპლინების მიხედვით
- პროგრამის შეფასების გეგმა
- თვითშეფასების ანგარიში
- ვებ-საიტი
- ინტერვიუები

რეკომენდაციები: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. ○ რამდენადაც პროგრამის ენა ინგლისურია, ინგლისური ენის ცოდნა (მინიმუმ B2 დონეზე) უნდა იყოს დაშვების წინაპირობის ნაწილი, მათ შორის ენის ცოდნის დონე და მოთხოვნილი სერთიფიკატის ტიპიც. ○ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „მეთოდოლოგია სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისთვის“ შეუსაბამოა მედიცინის სადოქტორო პროგრამისთვის (მუხლი 25.1. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი). სტუდენტთა მიღება მჭირდროდ არის დაკავშირებული განათლების ხარისხთან, ამგვარად, სტუდენტთა კონტინგენტის ზომა უნდა იყოს კავშირში მის შესაძლებლობასთან <u>პროგრამის ყველა ეტაპზე (WFME, BME სტანდარტები).</u> გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს არ აქვს სასწავლო ჰოსპიტალი, უფრო მეტიც, ყველა კლინიკური სწავლება/პაციენტის საწოლთან მომზადება ჩატარდება სხვა ტიპის ჯანდაცვის დაწესებულებებში. სასურველია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს გრძელვადიანი ხელშეკრულებები ყველა ამ დაწესებულებასთან, რათა უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა. ○ სტუდენტთა მიღება უნდა მოხდეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ, რათა უზრუნველყოფილი იყოს კლინიკური სამედიცინო მომზადების ხარისხი, რამდენადაც

არსებობს საგნების აშკარა მიკუთვნება კონკრეტულ სემესტრებზე/დეპარტამენტებზე. ○ პროგრამაზე მიღებული სტუდენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 50-ს, ლაბორატორიული აღჭურვილობის გათვალისწინებით. ○ რაც შეეხება სტუდენტთა ტრანსფერს, თვითშეფასებაში არ არის მკაფიო ბმული, რომელიც მიუთითებს, რომ "სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულაციები" მოცემულია ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდის ამ ნაწილის სწორი დასახელებაა „სტუდენტის სტატუსისა და საგანმანათლებლო პროცესის დებულება". ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ განაცხადი საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებში ბუნდოვანია (კომპონენტები და შეფასების მეთოდები, რომლებიც ეფუძნება კრიტერიუმებს, რათა განისაზღვროს რამდენად მისაღებია აპლიკანტის სწავლისა და შედეგების მიღწევისთვის ხარისხი). მედიცინის სადოქტორო პროგრამისთვის ეს უნდა შეესაბამებოდეს WFME BME სტანდარტებს ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ძლიერ რეკომენდებულია, რომ არ ჩაირიცხონ გადმოსული სტუდენტები, სულ მცირე პროგრამის განხორციელების პირველი სამ წლის განმავლობაში. ამის შემდეგ გადმოსული სტუდენტების პროცენტული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს ყოველი სასწავლო წლისთვის. გადმოსული სტუდენტებისთვის უნდა დაწესდეს მკაფიო კრიტერიუმები, ასევე უნდა მოიცავდეს მაგალითად, შესვენების მაქსიმალურ ხანგრძლივობას ჩარიცხვამდე, კრედიტების აღიარებას, ცოდნის შეფასების გზებს (MCQ, ტესტი და ზეპირი გამოცდა) და ა.შ.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი განათლების- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები ○ ვებ-საიტი ○ გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფასთან და ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები: ○ შემოთავაზებულ მედიცინის სადოქტორო პროგრამაში ხარისხის შენარჩუნების მიზნით და შეთავაზებული მიზნებისა და სწავლის შედეგებისთვის, რეკომენდებულია: — ინგლისური ენის ფლობის დადასტურება, — გადმოსული სტუდენტებისთვის პირობების დაკონკრეტება, — შეარჩიეთ განსაკუთრებული ყურადღებით გადმოსული სტუდენტები, მას შემდეგ რაც ეს პროგრამის ნაწილი გახდება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ვრცელდება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში არ ვრცელდება
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამა დაყოფილია ორ ნაწილად, კერძოდ საწყის (30 კრედიტი) და კლინიკურ სამედიცინო (330 კრედიტი) ეტაპებად და ძირითადად შედგება მოდულებისგან, რომელთაც აქვთ ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის კარგი მახასიათებლები. მედიცინის სადოქტორო პროგრამის მიზნის გათვალისწინებით, ქართული ენის კურსი <u>უნდა</u> იყოს სავალდებულო კომპონენტების ნაწილი, სასურველია სწავლების დაწყებისთანავე. ქართველი სტუდენტებისთვის უნდა იყოს კიდევ ერთი სავალდებულო უცხო ენის კომპონენტი (მაგალითად ინგლისური C1 ან სხვა უცხო ენის კურსი). 330 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო კურსებისთვის და 30 კრედიტი არჩევითებისთვის. ოცი არჩევითი კურსია შეთავაზებული მესამე სემესტრიდან სწავლების ბოლომდე, ჯამში 54 კრედიტის ოდენობით, რაც დამაკმაყოფილებლად გამოიყურება შესავალი ფაზისთვის. თითოეული კრედიტი ანგარიშდება 25 საათზე.
- მედიცინის დოქტორის აკადემიური გეგმა მოიცავს უმეტეს სფეროებს, მათ შორის, საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, სამედიცინო ფსიქოლოგიას, ბიოეთიკას, კომუნიკაციის უნარებსა და კვლევას.
- გარდა ზემოხსენებული კომენტარებისა, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული ჩანს პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან, იმ შემთხვევაში თუკი ქართული ენა იქნება სავალდებულო კურსი.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სიმულაციის ცენტრის უწყვეტ განვითარებას და მანეკენების/სიმულატორების რაოდენობის/განახლების ზრდას.
- პროგრამა მოდულურია, მკაფიოდ არის მიკუთნვებული საგნები კონკრეტულ სემესტრებზე (მაგალითად მეანობა - მე-10 სემესტრში, გინეკოლოგია - მე-11 სემესტრში). ეს საგნები, ხშირად, ერთსა და იმავე კათედრაზე ისწავლება, ამგვარად სტუდენტთა მიღება უნდა მოხდეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ, რათა უზრუნველყოფილი იყოს ხარისხი, კერძოდ კი კლინიკური სამედიცინო მომზადებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი განათლების- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- მედიცინის დოქტორის სასწავლო გეგმა
- სწავლების მეთოდები/სწავლის შედეგების რუკა
- ვებ-საიტი
- ინტერვიუები
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები

რეკომენდაციები: წინადადებ(ებ)ა, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • ყველა არსებული დაინტერესებული პირის, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის საუკეთესო მუშაობის მისაღწევად, მთლიანი სემესტრული პროგრამის დეტალური ცხრილი, მათ შორის კონკრეტული აფილირებული/მოწვეული პერსონალის სახელები, დროები, ადგილი და სტუდენტთა შესაბამისი ჯგუფების რაოდენობა, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მაქსიმუმ სემესტრის დასაწყისში, რათა შესაძლებელი იყოს ხარისხის უზრუნველყოფის რამდენიმე პარამეტრის უწყვეტი შეფასება (მაგალითად, სტუდენტი/მასწავლებლის თანაფარდობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მათი განთავსება) და ა.შ. ამგვარად, მედიცინის ახალ სამედიცინო პროგრამას, ექნება შესანიშნავი შესაძლებლობა, რომ მოხდეს მისი შეფასება უშუალოდ დანერგვის დასაწყისიდანვე. ეს სრულად შესაბამისობაშია ევროკავშირის მედიცინის სკოლებში არსებულ ამჟამინდელ სტრატეგიებთან. • ადამიანის მიკროფლორის როლი და გენეტიკური კონსულტაციები შესაძლოა განხორციელდეს შესაბამის საგნებზე, კონკრეტულ მოდულებში. ყურადრება უნდა დაეთმოს სამედიცინო ტერმინოლოგიას, რომელიც გამოყენებულია ამჟამინდელ წერილობით მასალებში, მაგალითად „ოპერატიული ოპერაცია“ (Operative Surgery) (ეს გულისხმობს, რომ არსებობს არაოპერატიული ქირურგიული ოპერაციაც), Stoma Care (ღრუს მოვლა), „მედიცინის მენეჯმენტი - რექტალური, ვაგინალური, ოფთალმოლოგიური, ნაზალური, სმენის ადმინისტრირება“, „ლექტორი აგროვებს დაშვებულ შეცდომებს და აკეთებს კომენტარებს სტუდენტების წინაშე“ და ა.შ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სავალდებულო კურსისთვის სტუდენტთა სწავლის შედეგები თანხვედრაშია კომპეტენციათა ეროვნულ სამიზნე ნიშნულებთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში განხორციელდება ქართული ენის კურსი. რამდენადაც პროგრამის მიზანია, სპეციალისტების მომზადება ადგილობრივი ბაზრისა და გლობალური ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით, ამიტომ პროგრამაში ქართული ენა უნდა იყოს სავალდებულო საგნად. გარდა პროგრამის მიზნისა, ენის კურსი ასევე დაეხმარება საერთაშორისო სტუდენტებს, უკეთესად ინტეგრირდნენ ადგილობრივ კოლეგებთან, მასწავლებლებთან და საზოგადოებასთან და ასევე უკეთ გაიგონ პაციენტთა საჭიროებები. უფრო მეტიც, ეს ხელს შეუწყობს ქართული კულტურის გავრცელებას მსოფლიოში.

სტუდენტები კარგად არიან აღჭურვილნი სილაბუსებში მოცემულია ავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ასათვისებლად, უნივერსიტეტი სტუდენტებს ასევე სთავაზობს ამომწურავ მონაცემთა ბაზებს, მაგალითად კემბრიჯის ჟურნალებზე, ასევე New England Journal of Medicine-სა და BioOne-ზე წვდომით. ამასთან ერთად, ეს მონაცემთა ბაზები არსებითია მცირე ჯგუფური მუშაობისთვის, როგორიცაა PBL-ის გაკვეთილები, რადგან იგი ასწავლის სტუდენტებს, თუ როგორ გამოიყენონ ასეთი ტიპის კვლევის წყაროები. მნიშნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა განაგრძოს ინვესტირება ასეთ ონლაინ მონაცემთა ბაზებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- მედიცინის დოქტორის სასწავლო გეგმა
- სწავლების მეთოდები/სწავლის შედეგების რუკა
- უმაღლესი განათლების- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები
- ვებ-საიტი
- ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნის თანახმად (როგორც ეს განცხადებულია თვითშეფასების ანგარიშში), განსაკუთრებული ყურადღება პროგრამის დასაწყისიდანვე დაუთმეთ ქართული ენის უნარების განვითარებას სტუდენტებში, რათა მიეცეთ შესაძლებლობა უკეთ დაამყარონ კომუნიკაცია პაციენტებთან, ისევე როგორც - პერსონალთან კლინიკის პირობებში (მუხლი 4, პუნქტი 2.ა.ბ).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- გააფართოვეთ და შეინარჩუნეთ ონლაინ მონაცემთა ბაზების პორტფოლიო კურსის მსვლელობისას.
- ასევე, ეს მონაცემთა ბაზები ძლიერ საფუძველს ქმნიან კვლევითი შესაძლებლობებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამიზნე ნიშნულების მოთხოვნებზე დაყრდნობით, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამუშაო და ტრანსფერული უნარების და/ან მათი ჩართულობა კვლევით პროექტებში, როგორც ეს ნახსენებია სილაბუსებში, უზრუნველყოფილია. სკოლამ ყურადღება უნდა გაამახვილოს, რომ ხაზგასმული ტექნიკა იყოს სათანადოდ გამოყენებული. არსებობს პოზიტიური წინაპირობა, რომ სკოლამ უკვე გაუწია ორგანიზება მასწავლებლებისთვის PBL მეთოდის გამოყენების კურსს. სკოლამ თავის პოლიტიკაში უნდა განაგრძოს მასწავლებლებისთვის ასეთი გზით განათლების გადაცემა. როგორც უკვე აღინიშნა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს წვდომას Medline-ზე, Healrh Source, EBSCO, Cambridge Journals, NEJM და BioOne ჟურნალებზე და საჭიროა განაგრძოს მათში ინვესტირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ უმაღლესი განათლების- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები ○ სილაბუსები ○ ვებ-საიტი
რეკომენდაციები: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X მოთხოვნებს შეესაბამება**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სილაბუსის თანახმად, SCL მეთოდები არის კარგად დაგეგმილი. იგი ძირითადად დაკავშირებულია სტუდენტი-მასწვლებლის ოპტიმალურ თანაფარდობასთან, რაც მკაფიოდ უნდა განისაზღვროს თითოეული ტექნიკისთვის, კერძოდ „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისთვის“, „შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობისთვის“, „პაციენტის საწოლთან სწავლებისთვის“ და „დისკუსიისთვის“, სანამ პროგრამა ამოქმედდება. უნივერსიტეტი გეგმავს მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი სტუდენტურ კვლევებს, სტუდენტურ კონფერენციებზე დასწრებით და შემდგომ სტუდენტებისთვის კვლევითი ლაბორატორიების გახსნით. ამის ფართო განხილვა უნდა მოხდეს აკადემიურ პერსონალთან და ამის შემდეგ ინტეგრირდეს სამოქმედო გეგმაში. ელექტრონული სწავლება ელექტრონული პორტალის NEXUS-ის მეშვეობით ასევე ნახსენებია, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციას აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორს, დროებითი შეფერხების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი განათლების- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- ვებ-საიტი
- გასაუბრება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და მედიცინის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ შეფასების სისტემა დაყოფილია ორ ფორმად - შუალედურ და საბოლოო შეფასებად. შედეგების ჯამი იძლევა საბოლოო შეფასებას, რომლის მინიმალური ზღვარი არის 51%, ხოლო მაქსიმლური - 100%. ○ შეფასებისთვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები -ტესტები, ქვიზები, პრეზენტაციები, თეზისები, ლაბორატორიული მუშაობა, სიმულაციური დავალებები, OSCE და სხვა, სადაც თითოეულ მეთოდს აქვს თავისი წილი. რამდენადაც OSCE ნახსენებია შეფასების ერთ-ერთ მეთოდად, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რომ შესაბამის აკადემიურ პერსონალს იეწოლოს ინფორმაცია OSCE-ს შესახებ და ჰქონდეს არამხოლოდ მისი გარკვეული ნაწილების, არამედ მისი სრულყოფილად განხორციელებისთვის შესაბამისი ცოდნა. ○ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს თითოეული შეფასების სანდოობასა და ვალიდურობაზე, მათ შორის კონკრეტული კომპეტენციების კრიტერიუმებსა და აღწერაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი განათლების- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან და სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებთან
რეკომენდაციები: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ან სამედიცინო სკოლამ უნდა უზრუნველყოს OSCE ტრენინგი შესაბამისი აფილირებული/მოწვეული პერსონალისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას
აღნიშნული სერვისების შესახებ, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს
სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერის ცენტრი (http://www.gruni.edu.ge/other_content/index/345/1446185793), თუმცა აქ ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესიონალურ და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების სათანადო ანალიზიის განხორციელება შეუძლებელია. უფრო მეტიც, ვებ-გვერდი ქართულადაც და ინგლისურადაც ერთსა და იმავე ინფორმაციას უნდა გვაწვდიდეს. ○ თვითშეფასების ანგარიშში ნახსენებია სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, ინტეგრაციის ცენტრი და სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ბმული არც სტუდენტური მომსახურების ცენტრზე და არც სამეცნიერო კვლევით ცენტრზე, არსებობს გვერდი საერთაშორისო ინტეგრაციაზე, სადაც ბოლოს გამოქვეყნებული ინფორმაცია თარიღდება 2009 წლით. აქვე, იბადება კითხვა, სად მიიღებენ სტუდენტები ინფორმაციას საერთაშორისო მობილობის, დასაქმების შესაძლებლობების, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების და კონფერენციების შესახებ. ○ შეხვედრა შედგა სტომატოლოგიის პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ორივე მხარე კმაყოფილი იყო განათლების ხარისხით, კონსულტაციებისა და მხარდაჭერის კუთხით. მათ არ გამოუხატავთ რაიმე პრობლემის არსებობა ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში. ○ არ არსებობს არც სტუდენტთა ორგანიზაცია და არც სტუდენტთა მმართველი ორგანო, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს ნებისმიერი წამოჭრილი პრობლემის გადაჭრაში ან მათი ხმის მიწვდენაში უნივერსიტეტის მენეჯმენტთან. ○ არ არსებობს მკაფიო პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის.

რეკომენდაციები: • განსაკუთრებით არის რეკომენდებული სტუდენტთა კავშირის განვითარების აქტიური ხელშეწყობა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაა, ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია მხედველობაში მივიღოთ სტუდენტური ორგანიზაციების დანერგვა სხვადასხვა მიმართულებით (მედიცინა, ბიზნესი....). • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი უნდა შეიცავდეს ყველა ცენტრის შესახებგანახლებულ ინფორმაციას, მათ შორის საკონტაქტო საათებსა და ხელმძღვანელი პირების შესახებ ინფორმაციას. • გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ერთი და იმავე ინფორმაციის არსებობა ქართულ და ინგლისურ ენებზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: მედიცინის სადოქტორო პროგრამის დასაწყისისთანავე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა ყურადღება უნდა დაუთმოს კლასგარეშე აქტივობებს, რათა ხელი შეუწყოს კონტაქტს ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის. უნდა დაინერგოს პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის, მედიცინის სადოქტორო პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის
სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური		**X**		

მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ სტუდენტების დასახმარებლად საჭირო ყველა იმ კომპეტენციას რას აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- მუდმივი კონტრაქტის მქონე პერსონალი შერჩეულია მათი გამოცდილების მიხედვით სწავლასა და სწავლებაში. მართალია უნივერსიტეტი არ ატარებს სადემონსტრაციო ლექციებს შერჩეული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დასადასტურებლად, თუმცა იგი ამოწმებს თანამშრომლებს მათი წინა ჩართულობით ინგლისურენოვან პროგრამებში ან არსებულ სერტიფიკატებზე დაყრდნობით.
- მოწვეული პერსონალის რეკრუტირებისა და შერჩევის სისტემა არაა ისე მკაფიოდ განსაზღვრული, ისევე როგორც აფილირებული და მუდმივი აკადემიური პერსონალისა. მოწვეული პერსონალის ხელფასები ეყრდნობა საკონტაქტო საათებს.
- კითხვაზე თუ რამდენად შეესაბამებიან პროგრამას ის აკადემიური თანამშრომლები, რომლებიც ასწავლიან მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი), მოწოდებული რეზიუმეების ყურადღებით გაცნობის შედეგად ვიღებთ პასუხს, რომ ისინი კომპეტენტურები არიან სასწავლო გეგმის შესასრულებლად, თუმცა **მათ რეზიუმეებში არ იყო მოცემული ინფორმაცია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან მათი აფილირების შესახებ.**

- სტუდენტებთან მიმართებაში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია არ იყო ნახსენები წერილობით მასალებში, ინტერვიუების დროს სხვადასხვა თანაფარდობები დასახელდა (34/1-ზე, 18-16/1-ზე). ასევე, სრულყოფილად არ იყო განმარტებული, თუ როგორ ხდება თანაფარდობის დაანგარიშება მედიცინის სადოქტორო პროგრამის კონკრეტული საჭიროებების თვალსაზრისით, სასწავლო გეგმაში განსაზღვრული სწავლის მეთოდების კუთხით (PBL გაკვეთილები, პაციენტის საწოლთან სწავლება, მცირე ჯგუფის დისკუსიები). აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სტუდენტთა თანაფარდობასთან დაკავშირებით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს აქვს გეგმა, 3 წლის განმავლობაში გაზარდოს სტუდენტების რაოდენობა, დაწყებული 100-დან 200-მდე, სწავლების პროცესის განხორციელებისთვის დაქირავებული პერსონალის რაოდენობის ძალიან მცირე გაზრდით. ამ მომენტისთვის უნივერსიტეტს აქვს თანაფარდობა 14 აფილირებული და 51 მოწვეული თანამშრომლის (22%/78%). ასევე მხოლოდ ერთი პერსონალი (აფილირებული თუ მოწვეული) იყო მიმაგრებული საგნების უმეტესობაზე, ისე რომ მისი შემცვლელი არ იყო დასახელებული.
- მთავარი პრობლემა აფილირებული და მოწვეული პერსონალის მნიშნველოვან რაოდენობასთან დაკავშირებით, არის მათი ჩართულობა სხვა უნივერსიტეტების მედიცინის სადოქტორო პროგრამებში, აკადემიურ თუ მოწვეულ თანამშრომლებად, ამან შესაძლოა პოტენციური პრობლემა შექმნას სამუშაო დატვირთვის განაწილების კუთხით სხვადასხვა უნივერსიტეტებს შორის, იმის გათვალისწინებით, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი გეგმავს სტუდენტების რაოდენობის გაზრდას საწყისი 100-დან 200-მდე 3 წელიწადში. რაც შეეხება მოწვეულ პერსონალს, მათი კონტრაქტების დროებითი ხასიათიდან გამომდინარე, პოტენციურ რისკს უქმნის მედიცინის პროგრამას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუკი ისინი პასუხისმგებლები არიან მნიშვნელოვან კურსებზე, რადგან ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს მედიცინის სადოქტორო პროგრამის სიცოცხლისუნარიანობაზე.
- სტუდენტთა ჩარიცხვის დაგეგმილი კვოტა არ არის რეალისტური აკადემიური პერსონალისა და სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური კეთილმოწყობის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, თვითშეფასების ანგარიშში არ არის დასახელებული სტუდენტთა ჯგუფის მაქსიმალური ზომა სხვადასხვა ტიპის სწავლებისთვის (PBL, ჯგუფური/პრაქტიკული სამუშაო). გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „მეთოდოლოგია სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისთვის“ გამოუსადეგარია მედიცინის სადოქტორო პროგრამისთვის (მუხლი 25.1. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი). სტუდენტთა მიღება მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლების ხარისხთან, ამგვარად, სტუდენტთა კონტინგენტის ზომა უნდა შეესაბამებოდეს მის <u>შესაძლებლობას პროგრამის ყველა ეტაპზე (WFME, BME სტანდარტები).</u> გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს არ აქვს სასწავლო ჰოსპიტალი, უფრო მეტიც, კლინიკური სწავლება/პაციენტის საწოლთან მომზადება ჩატარდება სხვა ტიპის ჯანდაცვის დაწესებულებებში. სასურველია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს გრძელვადიანი ხელშეკრულებები ყველა ამ დაწესებულებასთან, რათა უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა.
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს აქვს სპეციალურად განკუთვნილი კათედრა პერსონალის ტრენინგისა და განვითარებისთვის, წინასწარდანერგილი გეგმით, გადაამზადოს, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები
- ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან
- აფილირებილი, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;

რეკომენდაციები:

- მედიცინის ნებისმიერი სადოქტორო პროგრამის წარმატებით განსახორციელების გადამწყვეტი პირობა კვალიფიციური და კომპეტენტური აკადემიური პერსონალია. პროგრამას უნდა ყავდეს საკმარისი პერსონალი არამხოლოდ სწავლების პროცესის უზრუნველსაყოფად, არამედ სხვა შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლადაც, როგორიცაა კვლევა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს აკადემიური პერსონალისადმი არსებლ მიდგომას და გაზარდოს თანამშრომლების რაოდენობა მუდმივი, იდეალურ შემთხვევაში სრულ განაკვეთიანი კონტრაქტების დადებით, რათა უკეთ დააბალანსოს აფილირებული/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა.
- თითოეული სასწავლო მეთოდისთვის უნდა დასახელდეს სტუდენტი/მასწავლებლის თანაფარდობა (მაგ. PBL, „ავადმყოფის საწოლთან“ სწავლება).
- შემდეგ, საჭიროა ფრთხილი გაანგარიშება სათანადო სწავლებისა და კლინიკური მომზადების უზრუნველსაყოფად. **ოპტიმალური გაანგარიშება იძლევა სრული დროის ექვივალენტს (FTE).** FTE არის საათები, რომლებიც იმუშავა ერთმა თანამშრომელმა სრულ განაკვეთზე. კონცეფცია გამოიყენება რამდენიმე ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლის საათების კონვერტაციისთვის სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების საათებად. ყოველწლიურად, FTE მიჩნეულია, რომ უნდა იყოს 2080 საათი, რომელიც ასე გაანგარიშდება: დღეში 8 საათი გამრავლებული 5 სამუშაო დღეზე კვირაში, გამრავლებული 52 კვირაზე წელიწადში= 2,080 საათს წელიწადში. როდესაც მედიცინის სკოლა ასაქმებს მნიშნელოვანი რაოდენობის ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალს, შესაძლოა სასარგებლო იყოს მათი ნამუშევარი საათების კონვერტაცია სრული განაკვეთის ექვივალენტად, რათა დაინახოთ თუ რამდენ სრულ განაკვეთზე დასაქმებულ თანამშრომელს უტოლდება მათი მუშაობა. ძლიერ რეკომენდებულია, FTE მედიცინის სადოქტორო პროგრამის დასაწყისშივე გამოყენება და ხელახალი დაანგარიშების განხორციელება თითოეული სემესტრისთვის. მისი გამოყენება უნდა მოხდეს მოწვეული პერსონალისთვის, სადაც მხოლოდ საკონტაქტო საათები ანგარიშდება, მაგრამ ასევე აფილირებული პერსონალისთვისაც, სადაც მხოლოდ სწავლისთვის დათმობილი სათანადო საათების დაანგარიშება მოხდება.
- როგორც აღინიშნა 2.1-ში ამჟამინდელ პერსონალთან დაკავშირებით, დაგეგმილი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა კონტინგენტის მაქსიმალური ზომა არის 50 მინიმუმ სამი წლის განმავლობაში.

  - დააწესეთ სტუდენტთა ჯგუფების მაქსიმალური ზომა თითოეული სწავლების მეთოდისთვის (მაგ. PBL, პაციენტის საწოლთან სწავლება), სიფრთხილით განსაზღვრეთ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა, შესაძლებლობებისა და აკადემიური პერსონალის გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს აქვს სპეციალურად განკუთვნილი დეპარტამენტი პერსონალის ტრენინგისა და განვითარებისთვის, წინასწარ დანერგილი, როგორც აკადემიური ასევე მოწვეული პერსონალის გადამზადების გეგმით. ყოველ სემესტრში, თითოეული თანამშრომელი გადის 10 საათიან ტრენინგ კურსს. იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო გეგმაში PBL სწავლების მეთოდი საკმაოდ დიდი დოზით გამოიყენება, უნივერსიტეტმა ჩაატარა PBL სწავლების ტრენინგი აკადემიური პერსონალის 13 წევრთან. ○ არ არის დაგეგმილი ტრენინგი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი უნარების გასაუმჯობესებლად. ○ არ ჩატარებულა ტრენინგები OSCE-ს შესახებ შესაბამისი აფილირებული/მოწვეული პერსონალისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები ○ ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან
რეკომენდაციები: არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ უნდა მომზადდეს აკადემიური პერსონალის გადამზადების განრიგი. ასევე, დამატებითი ტრენინგი უნდა ჩატარდეს მათთვის, ვინც უკვე გაიარა გადამზადება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს OSCE-ს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X მოთხოვნებს შეესაბამება ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ადგილზე ვიზიტის დროს, NCEQE-ს გუნდს ჩაუტარეს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ტური და საკმაო შთაბეჭდილების ქვეშ დარჩნენ კლინიკური უნარების ობიექტებით (ძირითადად ამჟამინდელი სტომატოლოგიური პროგრამისთვის) და OSCE-ს მეტი საპილოტე საცდელი ვერსიების კონფიგურაციის გეგმით. კლინიკური უნარების ლაბორატორიები სათანადოდაა აღჭურვილი, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს შეიძინონ უნარები კლინიკურ გარემოში მოხვედრამდე და პაციენტებთან კონტაქტის დამყარებამდე. მედიცინის სადოქტორო პროგრამისთვის კლინიკური უნარების ცენტრებს აქვთ შეზღუდული ოდენობის სიმულატორები და მანეკენები, იმისათვის რომ, პრაქტიკები გაიარონ სტუდენტებმა ამ ტექნიკებზე, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა რაოდენობა მალე გაიზრდება. ასევე, უნივერსიტეტს აქვს სასწავლო ლაბორატორიები და ლაბორატორიები პრაქტიკული სესიებისთვის ბიომეცნიერებებში. უნივერსიტეტში არ არის სამეცნიერო კვლევისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები, რომლებიც განკუთვნილია მედიცინის სადოქტორო პროგრამისთვის. ○ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა დანერგა საკმარისი საბიბლიოთეკო რესურსები, როგორც სამკითხველო დარბაზების ასევე სათანადო პროგრამებით უზრუნველყოფილი კომპიუტერული საკლასო ოთახების კუთხით. ბიბლიოთეკისა და სასწავლო რესურსების მხრივ, უმეტესი მასალებისა ონლაინ ფორმატშია წარმოდგენილი და დისტანციურადაც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ბიბლიოთეკის მენეჯმენტი კავშირშია აკადემიურ პერსონალთან ბიბლიოთეკის მარაგების და მონაცემთა ბაზების გადახედვის კუთხით. სამედიცინო ჟურნალები, უმეტესად ონლაინ რეჟიმში, ხელმისაწვდომია მონაცემთა ბაზების მეშვეობით. ○ ლაბორატორიული მოწყობილობები (მაგალითად მიკროსკოპები), ასევე სიმულატორების/მანეკენების რაოდენობა (ძირითადად ორივე) ძალიან შეზღუდულია. ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით კი მისაღები სტუდენტების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს წელიწადში 50-ს. ○ **მთავარი პრობლემა მედიცინის სადოქტორო პროგრამის ეფექტური მუშაობისთვის საჭირო რესურსების კუთხით არის კლინიკური ბაზები. მოცემულია არაადეკვატური რაოდენობა მსხვილი საავადმყოფოებისა (ამჟამად ორი), სადაც არ არის მითითებული, თუ რომელი საგანი ისწავლება ამ საავადმყოფოებში. საავადმყოფოების პერსონალი, რომელთაც უნდა ასწავლონ სტუდენტებს, ასევე აფილირებული არიან სხვა მედიცინის სადოქტორო პროგრამებთან და ბუნდოვანია რამდენად შეძლებენ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში დამატებითი სამუშაო დატვირთვის გამკლავებას. არც უნივერსიტეტის და არც აღნიშნული საავადმყოფოების მიერ არ იყო დაკონკრეტებული თუ რა რაოდენობის სტუდენტებისთვის შეძლებენ ეს საავადმყოფოები კლინიკური პრაქტიკების ჩატარებას.**

- თითოეული კლინიკური კურსისთვის მხოლოდ სწავლებისთვის, განისაზღვრა მხოლოდ ერთი პოტენციური თანამშრომელი და ვერ მოხდა მისი შემცვლელის იდენტიფიცირება. უფრო მეტიც, ყველაზე მსხვილ საავადმყოფოსთან ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმებულია მხოლოდ 1 წლით და არა შეთავაზებული 10 წლის ვადით.
- ასევე, არ არის გაფორმებული პაციენტთა შეთანხმება საერთაშორისო სტუდენტებისთვის და შეთანხმება პაციენტთა მონაწილეობაზე სტანდარტიზებულ პაციენტად OSCE გამოცდებში.

- **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან
- სასწავლო აუდიტორიები
- კლინიკური უნარების ცენტრი
- სასწავლო ლაბორატორიები
- კლინიკებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ბიბლიოთეკაში ვიზიტი, ფიზიკური და ტექნიკური რესურსები;
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებთან;
- ბიბლიოთეკის წიგნების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დოკუმენტები;

რეკომენდაციები:

- სიმულატორების/მანეკენების რაოდენობა თანდათანობით უნდა გაიზარდოს.
- გააფართოებული ონლაინ მონაცემთა ბაზების პორტფოლიოს არსებობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი კურსის მსვლელობისას.
- **გააფართოვეთ და აწარმოეთ თანამშრომლობა საავადმყოფოებთან/ჯანდაცვის დაწესებულებთან, სადაც ტარდება კლინიკური ტრენინგები.**
- უნდა მომზადდეს პაციენტის თანხმობა საერთაშორისო სტუდენტებისთვის და პაციენტის მონაწილეობა, როგორც სტანდარტიზებული პაციენტის OSCE-ს გამოცდებში უნდა შედგეს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სტუდენტთა სწავლის საფასური განისაზღვრა მედიცინის სადოქტორო პროგრამის დაფინანსების მთავარ წყაროდ და დაფინანსების სხვა მექანიზმები არ დასახელებულა, მედიცინის სადოქტორო პროგრამის (ინგლისური) სწავლის საფასური 1 აკადემიურ წელზე 4500 დოლარს შეადგენს.
- ბიუჯეტი დაანგარიშდა წელიწადში 16 სტუდენტზე დაყრდნობით და მიღებული შემოსავალი უთანაბრდება ხარჯს, რაც მივყავართ სარეზერვო გეგმის არარსებობამდე ფაკულტეტის შეუფერხებლად მუშაობისთვის. რექტორმა განსაზღვრა, რომ უნივერსიტეტი მზად არის უზრუნველყოს ფინანსები მედიცინის სადოქტორო პროგრამის სტაბილურობისთვის, თუ ამის საჭიროება დადგება, თუმცა არ დაუსახელებია რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი და რა ხანგრძლივობით. ვიზიტის დროს NCEQE გუნდისთვის რთული იყო იმის დადგენა, თუ რამდენად ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია მედიცინის პროგრამისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი საიმისოდ, რომ შესაძლებელი იყოს ფაკულტეტის ძირითადი აქტივობების განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- **თვითშეფასების ანგარიში**
- ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან
- სამედიცინო პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- ნებისმიერი ბიუჯეტი, რომელიც მხოლოდ ან უმეტესად ეყრდნობა სტუდენტთა სწავლის საფასურს, არის დაუცველი ცვლილებებისა/უკანსვლის პროცესში. უნდა განისაზღვროს სხვა ფინანსური წყაროებიც.
- უნდა განისაზღვროს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სადოქტორო პროგრამის მკაფიო სარეზერვო და დაფინანსების პოლიტიკა მინიმუმ ექვსი წლისთვის (მედიცინის სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა			X	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესისთვის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი იცავს საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის რეგულაციას, რომლითაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების, შეფასებისა და მონიტორინგის წესები. ○ ამ წესებზე დაყრდნობით, მონიტორინგისა და შეფასების 40 მექანიზმი ამოქმედდება, როგორც კი პროგრამა დაიწყებს ფუნქციონირებას. იგი უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას შრომისა და განათლების ბაზრის მოთხოვნებთან და მისი ხარისხის შეფასებას. ○ სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება შესაძლებელია პორტალი Nexus-ის მეშვეობით, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ წამოჭრან საკუთარი პრობლემები, ასევე შეაფასონ აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ეს პროცესი კარგად იქნა აღწერილი სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს. ○ ამაზე დაყრდნობით, შეფასების პროცესის მონიტორინგი მოიცავს შემდეგს: შრომის ბაზრისა და მომხმარებლის საჭიროების ანალიზს გამოკითხვებითა და უშუალო კონტაქტით პოტენციურ დამსაქმებლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან. ასევე ანალიზდება აკადემიური მოსწრების, მობილობის შედეგებისა და სტუდენტთა მოსვლისა და წასვლის კორელაციის შედეგების კმაყოფილების დონე, შესაბამისი მიზეზების წარდგინებით. ○ ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი უწევს ორგანიზებას მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს, რომელიც აკადემიური და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად გეგმავს და განსაზღვრავს განრიგს, მეთოდოლოგიას და ტექნიკას ხარისხის კონტროლისთვის. ○ შიდა შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი გრძელდება სამი წლის განმავლობაში.

- შეფასების შედეგებს აანალიზებს და განიხილავს პროგრამის, დასაქმებისა და კურსდამთავრებულთა კომიტეტების ერთობლივი კომიტეტი. ერთობლივი კომიტეტი ასევე აფასებს პროგრამის განხორციელების პროცესის ხარისხს და გზამკვლევებს იმ საკითხებისთვის, რომლებიც უნდა გაუმჯობესდეს. შეხვედრებისა და შეფასების განრიგი არ არის მოცემული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები
- გასაუბრება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსთან და მედიცინის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსთან, აფილირებულ და მოწვეულ პერსონალთან
- ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრის მარეგულირებელი პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პასუხისმგებლობების/ანგარიშვალდებულების და დროის გადანაწილების მკაფიო სქემა უნდა არსებობდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლებისა და სასწავლო გარემოს ხარისხის უზრუნველყოფის დამოუკიდებლობა. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის როლი.

- მედიცინის სადოქტორო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების დროში განაწილება და შინაარსი უნდა დასახელდეს (ყოველი სემესტრის შემდეგ, ყოველი საგნის დასრულების შემდეგ...). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ასევე უნდა მოიცვას აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებები შეფასებაში, რათა უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა. კომუნიკაციის მთლიანი პროცესი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის უნდა დაკონკრეტდეს, მათ შორის დროში განაწილება და კომპეტენციები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი ○ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინეს იმის მტკიცებულება, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა გამოიჩინა ძალისხმევა და ჩაერთო სხვა დაწესებულებების ექსპერტები მედიცინის სადოქტორო პროგრამის განხილვაში. ○ მოცემულია პროგრამის გარე შეფასების მტკიცებულება ○ გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ გარე შეფასების ჯგუფის მიერ მიცემული რჩევები გამოიყენეს პროგრამის გაუმჯობესებისთვის. ○ ასევე აღინიშნა, რომ მედიცინის სადოქტორო პროგრამისთვის დაიგეგმა ექსპერტების მიერ ხარისხის პერიოდული გარე მონიტორინგი, თუმცა მკაფიო განრიგი არ დასახელებულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გარე შემფასებლების ანგარიშები ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან ○ გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ უნდა მომზადდეს განრიგი გარე შეფასებისთვის, სადაც მოცემული იქნება შესაბამისი შესაფასებელი სფეროებიც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

- შიდა მონიტორინგი და შეფასება დაიწყება მას შემდეგ, რაც მედიცინის სადოქტორო პროგრამა ამოქმედდება. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი ორგანიზებას უწევს მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს პროგრამის მონაწილე პერსონალთან ერთად, განსაზღვრავს მონიტორინგის სიხშირეს და ირჩევს შეფასების მეთოდებს.
- შეფასების გეგმა მოიცავს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, სტუდენტის მიერ კონკრეტული სასწავლო კურსისა და შესაბამისი მასწავლებლის შეფასებას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სწავლების პროცესზე დასწრებას, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან გასაუბრებას და სიღრმისეულ ინტერვიუებს.
- პოტენციური დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ერთობლივი კომიტეტი აანალიზებს, განიხილავს და აფასებს ანგარიშებს და იძლევა რეკომენდაციებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის კომიტეტი პასუხისმგებელია მედიცინის სადოქტორო პროგრამის შესწორებაზე ერთობლივი კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე, რაც აისახება მომდევნო წლის შეფასების ანგარიშში. მონიტორინგის ციკლი სწავლის შედეგებისთვის არის სამი წელი. ციკლის ფარგლებში, პროგრამის წლიური შეფასება ტარდება დასახული ამოცანების მიხედვით.
- პროგრამის შეფასება ეყრდნობა: სტუდენტთა გამოკითხვებს, პროგრამის თვითშეფასებას ლექტორების მიერ და პროგრამის საერთო შეფასებას.
- რამდენადაც, გამიზნულია, რომ მედიცინის სადოქტორო პროგრამა განხორციელდეს ინგლისურ ენაზე, ყველა შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობები, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებ-გვერდზე ყველასთვის - მომავალი და ამჟამინდელი სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის, საერთაშორისო პერსონალისა და უბრალოდ დაინტერესებული პირებისთვის. თუკი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ცდით მოძებნოთ სიტყვა „ხარისხი“, „ხარისხის უზრუნველყოფა“ ან „ხარისხის შეფასება“ , არაფერი მოიძებნება გარდა სამი ვიდეოსი, რომელიც არ არის დაკავშირებული ხარისხის უზრუნველყოფასთან (იხ,.**http://www.gruni.edu.ge/search/video?search=QA).**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან, სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ცენტრის მარეგულირებელი პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის მარეგულირებელი პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული წყობა
- მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების გეგმა
- გარე შემფასებლების ანგარიშები
- შედარების ბარათი - ანალოგიური/მსგავსი პროგრამების

რეკომენდაციები:

- ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებ-გვერდზე ინგლისურ ენაზეც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება O გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის
სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის	X			

შესაბამისობა				
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა			X	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ივანა ობორნა, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

გიორგი გაბისონია, 

ირაკლი გაგუა,

მარიამ თევზაძე, ხელმოწერა